

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

## ოქმი N3

ქ.ვანი

9 იანვარი 2018 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიგა გოგიბერიძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, სანდრო ხურციძე, აპოლონ რამიშვილი.

*საკრებულოს აპარატის საორგანიზციო განყოფილების მთვარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.*

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** შოთა გიორგაძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, სანდრო ხურციძე.

დასწრების ფურცელი თან ერთვის /დანართი N1/.

სხდომა გახსნა ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც დასამტკიცებლად წარადგინა სხდომის

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

მომხს: /მამუკა ნამიჭეიშვილი/

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

მომხს: / გიგა გოგიბერიძე/

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს სხდომის დღის წერივი

მომხრე - 9  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N2

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა ბ.ნ მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა, ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა დასამტკიცებლად და განმარტა, რომ წარმოგიდგინებ ვანის მუნიციპალიტეტში 2017 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების ნუსხას, რომელთა რეაბილიტაცია გათვალისწინებულია პირველ ეტაპზე.

ადმინისტრაციულ ერთეულებზე თანხები გადანაწილებული არის ობიექტების სამუშაოების მიხედვით, თუ რომელ სოფელში არის უფრო მეტი შესასრულებელი სამუშაო ობიექტები.

კომისიის მხრიდან იყო მოსაზრებები და შენიშვნები:

როდესაც ინფრასტრუქტურული პროექტები დგება გამგებელთან ერთად ჩვენც უნდა ვიყოთ მიწვეული და ერთობლივად უნდა გადავწყვიტოთ თუ რომელ სოფელს სჭირდება უფრო მეტი თანხა სამუშაოების შესასრულებლად. ასეთი შედგენილი პროექტი ჩვენთვის არ არის მისაღები.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე უფრო ვცლად ვისაუბრებთ და ჩვენ-ჩვენ მოსაზრებებს დავაფიქსირებთ საკრებულოს სხდომაზე.

აღნიშნული საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 9  
წინააღმდეგი - არცერთი  
დანართი N3

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა დასამტკიცებლად.

კერძოდ:

1.ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

2.ვანის მუნიციპალიტეტში 2017 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების ნუსხის განხილვა.

### თებერვალი -მარტი

1.გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა.

2.ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა.

### მარტი

1.ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა დაგეგმვისა და დგომის გაჩერების წესების დადგენის შესახებ.

ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

კომისიის წევრებმა მოიწონეს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა და მზად არის ბიუროს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N4

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოწონებულია კომისიის მიერ და საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე